

მეტაფრასირების ნიშნები „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიის“ ქართულ-ბერძნულ თარგმანებში?

კრისტიან ჰეგელი

ლუნდის უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: *ექვთიმე ათონელი; ვარლაამი და იოასაფი; მეტაფრასი*

ვარლაამისა და იოასაფის ბერძნული მოთხრობის შექმნისას ექვთიმე ათონელმა გააერთიანა ქართულიდან ბერძნულად ნათარგმნი და ბერძნულად უკვე არსებული ტექსტების მასალა (თეოლოგიური ტრაქტატები, ჰაგიოგრაფია, ბიბლიური ციტატები და ა.შ.). ტექსტის ის ნაწილები, რომლებიც ქართულიდან იყო თარგმნილი, ახლოს დგას ქართულ ორიგინალთან და ზოგ შემთხვევაში სიტყვასიტყვით თარგმანსაც კი წარმოადგენს. ბერძნული ტექსტის გასაოცრად დახვეწილმა ფორმულირებებმა შეიძლება დაგვარწმუნოს, რომ ასეთი პასაჟები რიტორიკულად იყო გაფორმებული ან თუნდაც მეტაფრასირებული (ე.ი. გადაწერილი მეტაფრასტული სტანდარტის მიხედვით).

მოხსენების მიზანია შეაფასოს აღნიშნული საკითხი ტექსტიდან სხვადასხვა პასაჟების განხილვის საფუძველზე. ამან შესაძლოა ნათელი მოჰფინოს თარგმანის ტექნიკას, რომელიც გამოიყენებოდა ტექსტის ქართულიდან ბერძნულად გადამუშავებისას, და ასევე იმ ეტაპებს, რომლებიც ტექსტმა გაიარა. ამ ფონზე თავს იჩენს უფრო მნიშვნელოვანი საკითხი: რამდენად ემსგავსება ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდი ქართულიდან ბერძნულად თარგმნის დროს (როგორც ეს „ბალავარიანის“) ბერძნული ტექსტის შემთხვევაშია) მის მეთოდს, როცა ის ბერძნულიდან ქართულად თარგმნის. ექვთიმეს თარგმანებს ბერძნულიდან ქართულად უფრო დიდი მასშტაბი ჰქონდა და სულ უფრო მეტი კვლევა ავლენს მისი მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებებს.